აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პედაგოგიური ფაკულტეტი

მის: თამარ მეფის ქ. № 59
შერვაშიძის ქ. #53
4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 277766)
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

დამტკიცებულია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს
დადგენილებით 2018 წლის 18 იანვრის ოქმი № 6

ფაკულტეტის დეკანი: ასოც. პროფესორი ვლადიმერ ადეიშვილი

პედაგოგიური ფაკულტეტის
საგანმანათლებლო პროფილი

ქუთაისი
2018

პედაგოგიური ფაკულტეტის
საგანმანათლებლო პროფილი

პედაგოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ერთიან საუნივერსიტეტო სივრცეში განათლების მიმართულებით შექმნას სტუდენტთა სწავლისა და სამეცნიერო კვლევებისათვის საუკეთესო პირობები ძირითადი ღირებულებების გათვალისწინებით და დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის დინამიურად ცვალებადი მოთხოვნები.

ფაკულტეტი უქმნის სტუდენტს საუკეთესო პირობებს სწავლა/სწავლებისა და კვლევისათვის, უზრუნველყოფს შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას და მუდმივად ზრუნავს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე.

საგანმანათლებლო პროფილის აღმწერ დოკუმენტში წარმოდგენილია არსებული მდგომარეობა, სამომავლო პერსპექტივები და გაუმჯობესების გზები.

2. მოკლე სიტუაციური აღწერა

1933 წლის 8 იანვრის დადგენილებით, რასაც შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენა მოჰყვა, პედაგოგიური ინსტიტუტი ქუთაისში გადმოვიდა და ამავე წლის 13 თებერვლიდან აქ განაგრძო ფუნქციონირება. ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა პედოლოგიურ-პედაგოგიური განყოფილება – პედაგოგიკის, პედოლოგიისა და პოლიტექნიკური სწავლების სექციებით.

1933 წლის 1 სექტემბრიდან განყოფილება გადაკეთდა ფაკულტეტად. დაწესდა 3 წლიანი სწავლის ნაცვლად 4 წლიანი სწავლება. პედაგოგიური ფაკულტეტის I და II კურსი მთლიანად გადმოვიდა ქუთაისში, მესამე კურსი კი სწავლის დასასრულებლად თბილისში დარჩა. ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა პროფ. ალექსანდრე (ვასილ) ფრანგიშვილი.

1934 წლის 1 სექტემბრიდან თბილისიდან ქუთაისში გადმოვიდა დაუსწრებელი სექტორი. პედაგოგიურ-პედოლოგიური დაუსწრებელი ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო პროფ. ანგია ბოჭორიშვილი.

1935 წლიდან ფაკულტეტზე არსებობდა ასპირანტურა.

1941 წლის ნოემბრიდან პედაგოგიკის ფაკულტეტმა სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყვიტა არსებობა. სკოლებში გაუქმდა პედაგოგიკის, როგორც საგნის სწავლება.

1957 წელს პედაგოგიურ ინსტიტუტს, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში, სწავლების დღისა და დაუსწრებელ ფორმაზე შეემატა ახალი სპეციალობა „დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“ (ქართული და რუსული განყოფილებები). აღნიშნული სპეციალობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პედაგოგიურ ინსტიტუტში ადრე არსებული პედაგოგიკის ფაკულტეტის (1933-1941) სპეციალობათა პროფილისგან, მაგრამ ის იქცა გაუქმებული ფაკულტეტის ღირსეულ მემკვიდრედ, რადგან აღმოჩნდა ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულება დასავლეთ საქართველოში, რომელიც ზრდიდა კვალიფიციურ კადრებს დაწყებითი სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის. იგი 1958 წლის სექტემბერში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს გამოეყო და საფუძველი ჩაეყარა ახალ, დამოუკიდებელ დაწყებითი სწავლების

მეთოდიკის ფაკულტეტს. 1974-75 სასწავლო წლიდან ფაკულტეტზე შემოტანილია ახალი სპეციალობები: 1. მუსიკა და სიმღერა; 2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია. 1989 წლიდან დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და რუსული ენა.

1933 – 1990 წლებში ფაკულტეტზე ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამები: 1. პედოლოგია, 2. სასკოლო პედაგოგიკა; 3. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა, ფსიქოლოგია და ესთეტიკა; 5. მუსიკა და სიმღერა; 6. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და რუსული ენა.

2007 წლიდან პედაგოგიურ ფაკულტეტზე არსებობს სადისერტაციო საბჭო.

ფაკულტეტი 2011 წლიდან აქტიურად არის ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში. ფაკულტეტზე მიმდინარეობს აქტიური სტუდენტური ცხოვრება.

ფაკულტეტი ახორციელებს განათლების მიმართულების უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შემდეგ დარგებში:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „დაწყებითი განათლება“
   მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების ბაკალავრი დაწყებით განათლებაში;
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები და მართვა
   მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მეცნიერებების მაგისტრი;
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“, რომელიც შედგება ორი მოდულისაგან: 1. პედაგოგიკის თეორია და ისტორია; 2. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა.
   მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების დოქტორი;
4. მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 12 მოდულს. კურსდამთავრებული ღებულობს სერთიფიკატს შესაბამის საგანში და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ერთვება უფროსი მასწავლებლის სტატუსით.

5. მოდულურ პროფესიულ პროგრამებს:

ა) ბაგა-ბაღის აღმზრდელი (მე-5 საფეხურის)

ბ) ბიბლიოთეკარი (მე-4 საფეხურის)

2011 წლიდან პედაგოგიური ფაკულტეტი ახორციელებს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა განხორციელებაში მონაწილეობს ორი დარგობრივი დეპარტამენტი:

- ✓ სწავლების მეთოდიკათა
- ✓ პედაგოგიკის

3. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

1. **ძლიერი მხარეები / გარე მხარდამჭერი გარემოებები**

1.1. პროგრამების მიმართ მაღალი ინტერესი საზოგადოების მხრიდან;
1.2. განათლების მიმართულების ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, მათი წარმატებით განხორციელების, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემა;
1.3. სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე განხორციელების უნარის მქონე მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
1.4. აკრედიტებული აკადემიური პროგრამები;
1.5. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების აქტიური განვითარების, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის მდიდარი და ხანგრძლივი გამოცდილება;
1.6. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა;
1.7. მოდულური პროფესიული პროგრამების შესაბამისი მატერიალური ბაზა;
1.8. საჯარო/კერძო სკოლებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობა;
1.9. განათლების მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
1.10. აკადემიური პერსონალის, როგორც ტრენერების მაღალი ჩართულობა, განათლების და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

2. **სუსტი მხარეები / გამოწვევები**

2.1. მხოლოდ ერთი მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამები;
2.2. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის, მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის დაბალი მაჩვენებელი;
2.3. სტუდენტების საერთაშორისო მობილობის დაბალი მაჩვენებელი;
2.4. უცხო ენის მცოდნე აკადემიური პერსონალის ნაკლებობა;
2.5. სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის დაბალი მაჩვენებელი;
2.6. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა;

3. შესაძლებლობები

3.1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენება/განვითარება;
3.2. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლების ღონისძიებების გააქტიურება;
3.3. ერთობლივი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
3.4. პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ თემატური საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ჩატარება.
3.5. როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე ფაკულტეტის საქმიანობის PR;
3.6. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წახალისების მექანიზმების შემუშავება.

3.7. ზამთარ/ზაფხულის თემატური სკოლების ორგანიზება;
3.8. სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე მორგებული აუდიტორიების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა;
3.9. პოტენციურ დამსაქმებლებთან არსებული ურთიერთობების გაღრმავება;
3.10. ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენების სრულყოფა.

4. საფრთხეები

4.1. ხშირი საკანონმდებლო რეგულაციები;
4.2. ინფლაცია და ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური დონის ცვლილება;
4.3. საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების სისტემის შეცვლა;
4.4. დემოგრაფიული მდგომარეობა და აბიტურიენტთა ნაკადის შემცირება;
4.5. კვალიფიციური კადრების გადინება

3. არსებული და პოტენციური პარტნიორები

ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსა და საზღვარგარეთის სასწავლო–სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სასწავლო პროცესების, პედაგოგიური და პროფესიული პრაქტიკების ორგანიზებისა და დასაქმების უზრუნველყოფის პერსპექტივებით. ეს ორგანიზაციებია:

- ქ. ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის №2 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის ა. დეკანოიძის სახელობის №32 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის №9 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის №19 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის №23 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის №12 საჯარო სკოლა
- ქ. ქუთაისის №45 საჯარო სკოლა (სპეციალიზირებული)
- შპს „ჯიჯი“ გიმნაზია (ზუგდიდი)
- შპს „სხივი“ გიმნაზია (მარტვილი)
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- საქველმოქმედო ორგანიზაცია “ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის”
- ქ. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი
- ააიპ-ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება
- შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი;
- ქ. ბრნოს მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
- კიევის მ. დრაგომანოვის სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა)
- არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB);

- ქუთაისის ისტორიული მუზეუმი;

ფაკულტეტი უახლოეს მომავალში გეგმავს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი დარგის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

5. არსებული საგანმანათლებლო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამების სიტუაციური აღწერა, შეფასება და განვითარების ერსპექტივები

დაწყებითი განათლება							
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების ბაკალავრი						
მიმართულება/დარგი	03 განათლება/0302 მასწავლებლის განათლება						
აკრედიტაციის თარიღი:	23.09.2011						
წლები	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
სტუდენტთა ჩარიცხვა	184	190	200	210	210	200	200

სამაგისტრო პროგრამა – განათლების მეცნიერებები და მართვა						
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერებების მაგისტრი					
წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017
სტუდენტთა ჩარიცხვა	7	20	21	25	9	30

სადოქტორო პროგრამა – განათლების მეცნიერებები	
მიმართულებები: 1. პედაგოგიკის თეორია და ისტორია 2. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების დოქტორი

დამატებითი (მაინორ) პროგრამა:	
1. საგნის მასწავლებლის მომზადების პროგრამა	კვალიფიკაციის გარეშე

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამა						
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაციის გარეშე					
წლები	2016	2017				
სტუდენტთა ჩარიცხვა	14	74				

ფაკულტეტზე განხორციელებადი მოდულური პროფესიული პროგრამები	
1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი (მე-5 საფეხურის)	შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია
2. ბიბლიოთეკარი (მე-4 საფეხურის)	შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია
შეფასება და განვითარების პერსპექტივები: პროგრამები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური ბაზითა და ინვენტარით. პროგრამების განხორციელება და ხარისხის უზრუნველყოფა პრიორიტეტულია.	

6. ადამიანური რესურსები

ფაკულტეტზე სასწავლო პროცესს ემსახურება:

- 4 პროფესორი;
- 24 ასოცირებული პროფესორი;
- 2 ასისტენტ პროფესორი;
- 30-მდე მოწვეული სპეციალისტი;
- 3 დოქტორანტი.

7. მატერიალური რესურსები

1. უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები;
2. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
3. ქ. ქუთაისის #2 საჯარო სკოლის ბაზაზე პედაგოგიური კლინიკა
4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის ლაბორატორია
5. საბუნებისმეტყველო დისციპლინების ლაბორატორია, რომელიც შექმნილია TEMPUS-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში

8. განვითარების მიზნები

8.1 საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

<u>ამოცანები:</u>

- აკადემიური უმაღლესი (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების/ ტრენინგ-კურსებისა შემუშავება და განხორციელება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება აწსუ-ს ფაკულტეტებთან თანამშრომლობით;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) თანამონაწილეობით.
- მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელების სეგმენტის შემდგომი გაძლიერება;
- ინოვაციური სასწავლო მასალების შექმნა, რომლებიც სრულყოფს სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურებზე;
- ახალი უცხოენოვანი აკადემიური პროგრამების შემუშავება.

ახლო პერსპექტივაში შესამუშავებელი პროგრამები	პროგრამის მოკლე აღწერა
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა „დაწყებითი განათლება“	პროგრამის ხანგრძლივობა: 300 კრედიტი, 10 სემესტრი მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი პროგრამის მიზანია: • მოამზადოს დაწყებითი საფეხურის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს იმუშაოს და ასწავლოს დაწყებით საფეხურზე ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და დამატებით ერთი საგანი სკოლის მოსწავლეებს პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით. • მოამზადოს დაწყებითი კლასების მასწავლებელი-მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ჩაატაროს წინასწარ

	დაგეგმილი კვლევა თავის დარგში, მოახდინოს მონაცემების შეგროვება და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა „საგნის მასწავლებელი“ (ერთობლივად ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებთან ერთად)	პროგრამის ხანგრძლივობა: 300 კრედიტი, 10 სემესტრი მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი პროგრამის მიზანია: • მოამზადოს საბაზო-საშუალო საფეხურის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს იმუშაოს და ასწავლოს საბაზო და საშუალო საფეხურზე ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო დისციპლინები, უცხოური ენები. • მოამზადოს საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი-მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ჩაატაროს წინასწარ დაგეგმილი კვლევა თავის დარგში, მოახდინოს მონაცემების შეგროვება და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა
საბაკალავრო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი“	აღმზრდელ-პედაგოგს შეუძლია: პროგრამის ხანგრძლივობა: 240 კრედიტი, 8 სემესტრი მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ბაკალავრი პროგრამის მიზანია: მოამზადოს კვალიფიცირებული სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგი, რომელსაც შეუძლია: საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება-დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება; განმავითარებელი გარემოს მოწყობა და ადაპტაცია; მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება; თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად მუშაობა; მრავალფეროვანი აქტივობების ჩატარება (ფიზიკური, მეცნიერული, სახელოვნებო და სხვა); ობიექტური შეფასება; ინტერაქციული თამაში; მცირე და დიდ ჯგუფებთან მუშაობა; ეფექტური კომუნიკაცია; კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმების გამოყენება; პოზიტიური გაძღოლა; თანაგრძნობა; თვითმართვა; თვითშეფასება; თანამედროვე ტექნიკური საშუალებების და ხელსაწყოების გამოყენება; პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.
ერთობლივი სადოქტორო პროგრამა - „უმაღლესი სკოლის ადმინისტრირება და მენეჯმენტი“ (ინგლისურენოვანი, მასარიკის უნივერსიტეტთან ერთად)	პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს: • საგანმანათლებლო სისტემის მმართველობის, ლიდერობის, მენეჯმენტის პედაგოგიური საკითხებისა და გამოწვევების შესახებ თანამედროვე ცოდნა და პროფესიული უნარები, რათა მან შეძლოს განათლების სფეროში მართვისას გლობალური პოზიციის დაჭერა; • მისცეს მას საშუალება გააცნობიეროს და გააკრიტიკოს საგანმანათლებლო სფეროს მართვის თეორიები და პრაქტიკა თანამედროვე კვლევებისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით. • პროგრამა უზრუნველყოფს განათლების მართვის კულტურათაშორის გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას და

	ასწავლის სტუდენტს მართვასთან დაკავშირებულ სამართლიან და ამავე დროს, სტრატეგიულ გზებს. • პროგრამის უმნიშვნელოვანეს ასპექტს თეორიულ საკითხებთან ერთად თანამედროვე პრობლემატიკით გაჯერებული პრაქტიკული ქეისებით სწავლება წარმოადგენს, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს შეასრულოს უმაღლესი განათლების საკითხებზე ან განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მართვის ფუნქციები. • კურსდამთავრებულს ექნება საგანმანათლებლო საკითხების და სპეციალობის სიღრმისეული ცოდნა, რაც მას მიმზიდველს ხდის დამსაქმებელთა ფართო სპექტრისთვის. • პროგრამა ამზადებს მომავალ ლიდერს, რომელსაც შეეძლება მუშაობა მენეჯერულ პოზიციაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა, საშუალო და უმაღლესი განათლება როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე; • განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო, ასევე კერძო საკონსულტაციო და ტრენინგ ორგანიზაციებში.
სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“ მოდულები: ა) განათლების თეორია და ისტორია ბ) საგნის სწავლების დიდაქტიკა	
საბაკალავრო პროგრამა „ოკუპაციური თერაპია“(პედაგოგიური და მედიცინის ფაკულტეტების ერთობლივი პროგრამა)	მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მედიცინის ბაკალავრი (Bachelor of Medicine) სწავლების ვადა: 4 წელი (8 სემესტრი) - აღნიშნული პროგრამა საქართველოში მეორე იქნება. იგი მიზნად ისახავს ოკუპაციურ თერაპიაში სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული, საბაზისო უნარ-ჩვევების მიცემას.
საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა „ბავშვთა ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლება“-	ქვეყანაში იზრდება კვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნა როგორც სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში (თანამედროვე მიდგომები ყველა შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებთან მუშაობისათვის) ასევე ბავშვთა ადრეული ინტერვენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ამ პროგრამის ფილოსოფიისა და პრინციპების მცოდნე: განვითარების სპეციალისტებზე, ფსიქოლოგებსა თუ ენისა და მეტყველების თერაპევტებზე (თუ სხვ.). ხოლო განვითარების სპეციალისტების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამები არ არსებობს. მხოლოდ სასერტიფიკაციო, ბაზისური პროგრამა. სწორედ ამიტომ ამ მიმართულების განვითარების დიდი პერსპექტივა ექნება.
ენისა და მეტყველების თერაპია - სასერტიფიკაციო კურსი; (აუგმენტური და ალტერნაციული კომუნიკაცია; ქართული ჟესტური ენა და სხვ).	ამ მიმართულებით საქართველოში იზრდება მოთხოვნა. ამ სპეციალობით დასაქმება მრავალი პროფილითაა შესაძლებელი, როგორც ბავშვთა ადრეული განვითარების, განათლების ცენტრებსა თუ დაწესებულებებში ასევე სასკოლო ასაკის თუ ზრდასრულთათვის სპეციალური ენისა და მეტყველების თერაპიის ცენტრებში. მაგ: ინსულტის მქონე პაციენტებისათვის, სმენა დაქვეითებული პირებისათვის თუ სხვ.

„სპეციალური და დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება“ - სასერთიფიკაციო კურსი, ტრენინგ-მოდული;	პროგრამა მიზნად ისახავს ინკლუზიური განათლების ხარისხის განვითარებისათვის ყველა საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და თეორიული ცოდნით სტუდენტების აღჭურვას, რათა ყველა სკოლასა თუ ბაღს, პროფესიულ კოლეჯსა თუ უნივერსიტეტს ჰქონდეს შესაძლებლობა კონკურენტული დასაქმების პერსპექტივების განვითარებისათვის, რაც მეორეს მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის სპეციალური თუ დამატებითი საჭიროების მქონე პირთა სოციალიზაციას, სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საწიროების მქონე) პირებზე სკოლის ატესტატების გაცემის რაოდენობას, შემდგომში მათ ეფექტურ ტრანზიციას პროფესიულ კოლეჯებსა თუ უნივერსიტეტებში, მათ დასაქმებასა და დამოკიდებელი ცხოვრების ხარისხს.
აუტიზმის სპექტრის, მძიმე/ღრმა ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევები (შეფასება და ინტერვენცია) -სასერტიფიკაციო კურსი; ტრენინგ-მოდული;	ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს მსგავსი პროგრამები. ძალიან დაბალია მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან მომუშავე ორგანიზაციები, რომლის ძირითადი მიზეზი სწორედ რომ არ არსებული სპეციალისტებია. ამის პარალელურად ქვეყანაში არსებობს: შინ მოვლის პროგრამა, მძიმე და ღრმა ინტელექტუალური შეფერების დღის ცენტრის პროგრამა, რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამა და სხვ. შშმ ბავშვებისათვის. აღნიშნული მიმართულების განვითარება მნიშვნელოვნად შეცვლის ინტერვენციის მიდგომების პერსპექტივებს და გააუმჯობესებს სახელმწიფო პროგრამების ხარისხს, გაზრდის ქვეყანაში სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციათა რიცხვს
არტ თერაპია - სასერტიფიკაციო კურსი	არსებული კურსი ხელოვნების მოყვარულ ბევრ სპეციალისტს მისცემს საშუალებას დაეუფლოს თანამედროვე თერაპიულ სტრატეგიებს და გამოყენება ჰპოვოს ბაღში, სკოლასა თუ უნივერსიტეტის ტიპური თუ დამატებითი საჭიროების სტუდენტებთან. იგი ხშირად გამოიყენება სწავლის, ინტერვენციის პარალელურად სტრესისა და აგრესიის შესამცირებლად, კომუნიკაციის განვითარების თუ სოციალური უნარების გასაუმჯობესებლად
მუსიკალური თერაპია - სასერტიფიკაციო კურსი	არსებული კურსი მუსიკის მოყვარულ ბევრ სპეციალისტს მისცემს საშუალებას დაეუფლოს თანამედროვე თერაპიულ სტრატეგიებს და გამოყენება ჰპოვოს ბაღში, სკოლასა თუ უნივერსიტეტის ტიპური თუ დამატებითი საჭიროების სტუდენტებთან. იგი ხშირად გამოიყენება სწავლის, ინტერვენციის პარალელურად სტრესისა და აგრესიის შესამცირებლად, კომუნიკაციის განვითარების თუ სოციალური უნარების გასაუმჯობესებლად.
მასწავლებელთა საგნობრივი სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებელი ტრენინგ-მოდულები	პროგრამა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მოამზადებს ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტ-ს, მუსიკის, საბუნებისმეტყველო დისციპლინების, ისტორიისა და უცხო ენების მოქმედ როგორც დაწყებითი საფეხურის, ისე საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებელებს. აღნიშნულ ტრენინგებს ჩაატარებს ფაკულტეტის ის პერსონალი, რომლებიც ასევე არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერები

8.2. ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების დანერგვა

<u>ამოცანები:</u>

- პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების მექანიზმების სრულფასოვანი გამოყენება;
- შეფასების შედეგების გამოყენებით პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების დახვეწა;
- სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა.

9. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

1.1.ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) თანამონაწილეობით.

ა) თანამშრომლობის გააქტიურება ჩეხეთის რესპუბლიკის მასარიკის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ბ) თანამშრომლობის გააქტიურება უკრაინის ეროვნულ პედაგოგიურ უნივერსიტეტთან;

1.2.აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება;

1.3.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და ვორქ-შოპების ჩატარება ფაკულტეტის ინიციატივით;

1.4.უცხოელი პროფესურის მოწვევა და ჩართვა, სწავლა/სწავლების პროცესში;

1.5. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების და მობილობის ხელშეწყობა. გასაძლიერებელია მუშაობა ERASMUS + პროგრამის ფარგლებში credit mobility -ის მხრივ, რაც გაზრდის ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას.